გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალი სამგორის მიმდებარედ, შპს „სანიტარის“ სახიფათო ნარჩენების განთავსებისა და დამუშავების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშზე შენიშვნები

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის შესწავლის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ დოკუმენტი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას იმისათვის, რომ წინასწარ გამოირიცხოს საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესაძლებლობა.

ანგარიშში აღწერილია როგორც საწარმოს საქმიანობის ცვლილებები, ისე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობები. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევებში შესაძლო ზემოქმედების არარსებობის შესახებ დასკვნები წარმოდგენილია დამატებითი კვლევების, რაოდენობრივი მონაცემებისა და სათანადო დასაბუთების გარეშე.

აქედან გამომდინარე, ვითხოვთ ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების განხილვას და შესაბამისი განმარტებებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენას.

1. ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების კოდებისა და შემადგენლობის ცვლილება

ანგარიშის მე-4 თავში წარმოდგენილია ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების ორი კოდის დამატების საკითხი:

- 16 01 14* — სახიფათო ნივთიერებების შემცველი ანტიფრიზის სითხეები;
- 08 01 13* — ორგანული გამხსნელების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების შემცველი საღებავის ან ლაქის ნალექი.

ანგარიშის თანახმად, მათი წლიური რაოდენობა, შესაბამისად, 15–20 ტონასა და 5–10 ტონას შეადგენს.

აღნიშნული ნარჩენების მიღება და ინსინერაცია შესაძლოა დაკავშირებული იყოს საწვავი თვისებების, ქიმიური შემადგენლობისა და წვისას წარმოქმნილი დამაბინძურებლების ცვლილებასთან. მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ ინსინერატორის წარმადობა არ იზრდება, საკმარისი არ არის ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების უცვლელობის დასადასტურებლად.

ვითხოვთ:

1. წარმოდგენილ იქნეს დამატებული ნარჩენების ქიმიური შემადგენლობისა და სახიფათო თვისებების შესახებ ინფორმაცია.

სსიპ გარემოს მოსვნული
საგენთო
„16“ 11 2026წ.
№ 17330

2. შეფასდეს მათი ინსინერაციისას მოსალოდნელი ემისიები და შესაძლო ცვლილებები არსებული ნარჩენების დაწვის შედეგად წარმოქმნილ ემისიებთან შედარებით.
3. წარმოდგენილ იქნეს დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევების გაანგარიშება, მათ შორის, საჭიროებისამებრ, აზოტისა და გოგირდის ოქსიდების, მტვრის, აქროლადი ორგანული ნაერთების, მჟავური აირების, მძიმე მეტალებისა და დიოქსინებისა და ფურანების მიმართულებით.
4. განიმარტოს, როგორ უზრუნველყოფს არსებული ინსინერატორი აღნიშნული ნარჩენების უსაფრთხო თერმულ დამუშავებას და რა ტექნოლოგიური და გამწმენდი სისტემები გამოიყენება.

2. ნარჩენების კოდების შესაბამისობა არსებულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებასთან

ანგარიშში მითითებულია, რომ საწარმოს უკვე აქვს შესაბამის ჯგუფებში შემავალი ნარჩენების ინსინერაციის უფლება. თუმცა წარმოდგენილ ნუსხაში საჭიროა კონკრეტული კოდების შესაბამისობის გადამოწმება.

მაგალითად, ანგარიშის მე-11 გვერდზე მითითებულია 16 01 14* კოდის არსებობა, მაშინ როდესაც ცხრილ №4.2-ში წარმოდგენილ 16 01 ჯგუფში ჩანს 16 01 15 კოდი, რომელიც სხვა ტიპის ანტიფრიზს ეხება. ამავე დროს, 08 01 13* კოდი წარმოდგენილ ჩამონათვალში ცალსახად არ იდენტიფიცირდება.

ვითხოვთ, სამინისტროს მიერ გადამოწმდეს თითოეული ნარჩენის კოდი, დასახელება და მართვის ოპერაცია მოქმედი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და მისი ცვლილებების საფუძველზე. ასევე განიმარტოს, რა სამართლებრივი საფუძვლით განხორციელდა ანგარიშში მითითებული ნარჩენების მიღება 2025 წელს და რა პროცედურა იყო საჭირო მათი მიღების დაწყებამდე.

3. ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ემისიების შეფასების არასაკმარისი დასაბუთება

ანგარიშის 5.1 ქვეთავში მითითებულია, რომ 2023 წლის 24 აპრილის წერილით შეთანხმებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი და წარმოდგენილი ცვლილება დამატებით ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

თუმცა ანგარიშში არ არის წარმოდგენილი საკმარისი შედარებითი ანალიზი, რომელიც დაადასტურებდა, რომ განსხვავებული ქიმიური შემადგენლობის ნარჩენების მიღება და დაწვა ემისიების სახეობასა და რაოდენობაზე გავლენას არ მოახდენს.

ვითხოვთ:

- არსებული გაფრქვევების გაანგარიშებისა და დამატებული ნარჩენების ინსინერაციისას მოსალოდნელი გაფრქვევების შედარებას;
- ინსინერატორის გამონაბოლქვის გაწმენდის სისტემების აღწერასა და მათი ეფექტიანობის დამადასტურებელ მონაცემებს;
- საწარმოს ემისიების ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგების წარმოდგენას, მათ შორის, იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომელთა კონტროლიც ნარჩენების შემადგენლობის გათვალისწინებით აუცილებელია;
- განმარტებას, რა მონაცემებს ეფუძნება დასკვნა, რომ დამატებული ნარჩენების დაწვა ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას არ შეცვლის.

4. ჩამდინარე წყლების ჩაშვების ფაქტი და წყლის გარემოს დაცვის საკითხი

ანგარიშის მე-4 თავში აღწერილია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი ჩამდინარე წყლის ჩაშვების ფაქტი, რომლის კოორდინატებიც არ ემთხვევა გზშ-ის ანგარიშში მითითებულ კოორდინატებს. კომპანია აღნიშნულ შემთხვევას ერთჯერად ფაქტად და თანამშრომლის დაუდევრობით გამოწვეულ შემთხვევად განმარტავს.

ამასთან, ანგარიშის თანახმად, წყლების შეგროვება უნდა მოხდეს შემკრები ავზის საშუალებით, შემდგომ კი საასენიზაციო მანქანით მათი გატანა და საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვება.

მხოლოდ ერთჯერად შემთხვევაზე მითითება ვერ გამორიცხავს განმეორებითი დაბინძურების რისკს. ამავე დროს, ხელშეკრულების არსებობა თავისთავად არ ადასტურებს, რომ ყველა სახის ჩამდინარე წყალი სათანადოდ გროვდება, ტრანსპორტირდება და შესაბამის გამწმენდ ნაგებობაში მიიღება.

ვითხოვთ:

1. წარმოდგენილ იქნეს ჩამდინარე წყლების წარმოქმნის წყაროების, სახეობებისა და მოცულობების აღწერა.
2. დაზუსტდეს შემკრები ავზის მოცულობა, წყალშემკრები სისტემის ტექნიკური მდგომარეობა და მისი ავარიული გადავსების პრევენციის ღონისძიებები.
3. წარმოდგენილ იქნეს ჩამდინარე წყლების გატანისა და მიმღები ობიექტისთვის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები.
4. დაზუსტდეს, სად და რა პირობებით ხდება ჩამდინარე წყლების მიღება და დამუშავება, მათ შორის, წარმოდგენილი ხელშეკრულების ფარგლებში.

5. შეფასდეს შემთხვევითი დაღვრის, გაჟონვისა და ზედაპირულ ან მიწისქვეშა წყლებში მოხვედრის რისკები და განისაზღვროს შესაბამისი მონიტორინგის ღონისძიებები.

5. რადიაციული ნარჩენების კონტეინერების რაოდენობის ცვლილება

ანგარიშის თანახმად, თავდაპირველ დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იყო რადიაციული ნარჩენებისთვის განკუთვნილი ოთხი კონტეინერი, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობით კომპანიას აქვს ათი კონტეინერი. მითითებულია ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ლიცენზია №000160 და სააგენტოს 2020 წლის წერილი.

კონტეინერების რაოდენობის ზრდა თავისთავად არ ადასტურებს რადიაციული ნარჩენების მოცულობის ან გარემოზე ზემოქმედების ზრდას, თუმცა საჭიროა დაზუსტდეს მათი რეალური დატვირთვა, შიგთავსი, შენახვის პირობები და შესაბამისი ნებართვების ფარგლები.

ვითხოვთ:

- წარმოდგენილ იქნეს თითოეულ კონტეინერში განთავსებული ნარჩენების სახეობის, რაოდენობისა და რადიაციული მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია კანონით დაშვებული მოცულობით;
- დაზუსტდეს, რა ტიპის რადიაციული ნარჩენები ინახება და რა პირობებით;
- წარმოდგენილ იქნეს კონტეინერების ტექნიკური მდგომარეობის, რადიაციული უსაფრთხოების, მონიტორინგისა და ავარიული რეაგირების ღონისძიებების აღწერა;
- გადამოწმდეს ლიცენზიის მოქმედება და მისი პირობების შესაბამისობა ფაქტობრივ საქმიანობასთან;
- განიმარტოს, რა საფუძვლით მიიჩნევა, რომ კონტეინერების რაოდენობის ცვლილება გარემოსდაცვითი შეფასების თვალსაზრისით უმნიშვნელოა.

6. სასაწყობე კონტეინერების რაოდენობის შესახებ შეუსაბამობები

ანგარიშის მე-4 თავში კონტეინერების რაოდენობასთან დაკავშირებით სხვადასხვა მონაცემია წარმოდგენილი: თავდაპირველ დოკუმენტაციაში მითითებულია 13 სასაწყობე კონტეინერი, გენერალურ გეგმაზე — 12 და დამატებით 3 ერთეული, ხოლო ფაქტობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით თავდაპირველად აღწერილია 18 კონტეინერი. შემდგომ კი მითითებულია 9 სასაწყობე და 10 რადიაციული ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერი.

ვითხოვთ, წარმოდგენილ იქნეს ობიექტის განახლებული გენერალური გეგმა და კონტეინერების ერთიანი ინვენტარიზაციის ცხრილი, სადაც მითითებული იქნება თითოეული კონტეინერის დანიშნულება, განთავსების ადგილი, შესანახი ნარჩენების სახეობა და მაქსიმალური ტევადობა. ასევე საჭიროა განიმარტოს, რატომ განსხვავდება ანგარიშში მოცემული რაოდენობები და როგორია ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა.

7. კუმულაციური ზემოქმედების შეფასების საჭიროება

ანგარიშის თანახმად, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 145 მეტრში მდებარეობს ნარჩენების განთავსების ობიექტი, ე.წ. „რუსთავის ნაგავსაყრელი". ანგარიშში ასევე აღწერილია საწარმოს მიმდებარედ არსებული სხვა ობიექტები.

მიუხედავად ამისა, 5.12 ქვეთავში კუმულაციური ზემოქმედების განხილვა არარელევანტურად არის მიჩნეული იმ საფუძვლით, რომ საწარმოს წარმადობა არ იზრდება, საქმიანობის პროფილი არ იცვლება და დამატებითი ინფრასტრუქტურა არ იგეგმება.

მიგვაჩნია, რომ კუმულაციური ზემოქმედების შეფასების საჭიროება მხოლოდ საწარმოს წარმადობის ცვლილებით არ უნდა განისაზღვროს. გასათვალისწინებელია მიმდებარე ობიექტების ერთობლივი გავლენა ატმოსფერულ ჰაერზე, წყლის გარემოზე, სატრანსპორტო ნაკადებზე და მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებზე.

ვითხოვთ, დასაბუთდეს კუმულაციური ზემოქმედების შეფასების საჭიროების არარსებობა და წარმოდგენილ იქნეს მიმდებარე ნარჩენების მართვის ობიექტების გათვალისწინებით არსებული გარემოსდაცვითი მდგომარეობის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდეს ერთობლივი ზემოქმედების შეფასება.

8. ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება

ანგარიშის 5.10 ქვეთავში ადამიანის ჯანმრთელობაზე დამატებითი ზემოქმედების არარსებობა დასაბუთებულია იმით, რომ საოპერაციო პროცესები არ იცვლება და კომპანიას ჰყავს შრომის უსაფრთხოებისა და ხარისხის მართვის სპეციალისტები.

შრომის უსაფრთხოების შიდა ღონისძიებები მნიშვნელოვანია, თუმცა ისინი თავისთავად ვერ ადასტურებს საწარმოს გარეთ მცხოვრებ მოსახლეობაზე ზემოქმედების არარსებობას.

ანგარიშის თანახმად, უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოდან დაახლოებით 1 270 მეტრში მდებარეობს. ეს მანძილი თავისთავად არ არის საკმარისი იმის დასადგენად, აღწევს თუ არა მოსახლეობამდე დამაბინძურებელი ნივთიერებები.

ვითხოვთ:

- შეფასდეს საწარმოს ემისიების შესაძლო გავრცელება უახლოესი დასახლებული პუნქტის მიმართულებით;
- წარმოდგენილ იქნეს ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასება შესაბამისი მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით;
- განიმარტოს, რა მონაცემებს ეფუძნება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების არარსებობის დასკვნა;
- განისაზღვროს საწარმოს გავლენის ზონაში ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის საჭიროება და მისი განხორციელების პირობები.

9. ავარიული სიტუაციების მართვა

ანგარიშის 5.14 ქვეთავში შესაძლო ავარიულ შემთხვევებად დასახელებულია ტექნოლოგიური დანადგარების გაუმართაობა, ხანძარი და ნარჩენების შემთხვევითი გაფანტვა. ამავე დროს, აღნიშნულია, რომ ცვლილებები დამატებით რისკებს არ წარმოშობს.

სახიფათო ნარჩენების შენახვისა და ინსინერაციის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროა შეფასდეს არა მხოლოდ დამატებითი ინფრასტრუქტურის არარსებობა, არამედ არსებული სისტემების შესაძლო გაუმართაობით გამოწვეული შედეგებიც.

ვითხოვთ, წარმოდგენილ იქნეს ავარიული სიტუაციების მართვის შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, სახიფათო ნარჩენების დაღვრის, ხანძრის, კვამლისა და გამონაბოლქვის გაძლიერებული გაფრქვევის, შემკრები ავზების გადავსებისა და დაბინძურებული წყლების გავრცელების შემთხვევებისთვის.

ასევე განიმარტოს, რა საშუალებები და პროცედურები არსებობს ავარიის დროული გამოვლენის, შედეგების ლოკალიზაციისა და შესაბამისი უწყებების ინფორმირებისთვის.

10. გარემოსდაცვითი მონიტორინგი და საზოგადოების ინფორმირება

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი საკმარისად კონკრეტული ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ მოხდება საწარმოს გარემოსდაცვითი მდგომარეობის დამოუკიდებელი და რეგულარული კონტროლი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ.

ვითხოვთ, განისაზღვროს შესაბამისი მონიტორინგის პროგრამა, რომელიც მოიცავს ატმოსფერული ჰაერისა და ემისიების კონტროლს, წყლის გარემოს დაბინძურების

პრევენციას, ნარჩენების აღრიცხვას, ავარიული შემთხვევების რეგისტრაციასა და საჭიროების შემთხვევაში დამატებით კვლევებს.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის შედეგები და ინფორმაცია გამოვლენილი დარღვევებისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ.

მოთხოვნა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვითხოვთ:

1. წარმოდგენილი შენიშვნების განხილვას და თითოეულ საკითხზე დასაბუთებული პასუხის გაცემას.
2. სკრინინგის ანგარიშში გამოვლენილი ფაქტობრივი და დოკუმენტური შეუსაბამობების გასწორებას.
3. დამატებითი ინფორმაციისა და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენას, რათა შესაძლებელი გახდეს საქმიანობის გარემოსდაცვითი რისკების ობიექტური შეფასება.
4. შეფასდეს, არის თუ არა წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისი იმის დასადგენად, რომ საქმიანობამ შესაძლოა არ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ზემოქმედება.
5. საჭიროების შემთხვევაში, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

მიგვაჩნია, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ საქმიანობის განმახორციელებლის განმარტებებს, არამედ სათანადო ტექნიკურ მონაცემებს, დასაბუთებულ შეფასებებსა და გარემოსდაცვითი რისკების პრევენციის მკაფიო ღონისძიებებს.

პატივისცემით,

[redacted] დიდი ლილოს საინიციატივო ჯგუფი

[redacted]

[redacted]

3.11.2026